

ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ფიტპასს ჯორჯია

2023 წლის 31 დეკემბერი

(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშება	5
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშება	6
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშება	7
ფულადი ნაკადების ანგარიშება	8
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	9



დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)

შპს ფიტპასს ჯორჯია-ს მფლობელებსა და მენეჯმენტს:

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს ფიტპასს ჯორჯიას ("კომპანია") ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგება-ზარალისა და სხვა გაერთიანებული შემოსავლების ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის, აგრეთვე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვას და სხვა განმარტებით პენიშვნებს.

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას წლისათვის, რომელიც დასრულდა აღნიშნული თარიღით და შესაბამეა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ჩვენი პასუხისმგებლობა, აღნიშნული სტანდარტების მიხედვით, აღწერილია ამ დასკვნის აბზაცში სათაურით "აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე". ჩვენ კომპანიისაგან დამოუკიდებელი ვართ, როგორც ამას მოითხოვს პროფესიონალ ბუღალტერთათვის საერთაშორისო ეთიკის სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული ეთიკის კოდექსი, ჩვენი დამოუკიდებლობა ასევე შესაბამისობაშია საქართველოში არსებულ მოთხოვნებთან და ჩვენ სრულად ვასრულებთ სხვა მოთხოვნებს, რომელიც განსაზღვრულია ეთიკის ნორმებით. დარწმუნებული ვართ, რომ აუდიტის პროცესში მოპოვებული მტკიცებულებები საკმარის და შესაფერის საფუძველს გვაძლევს აუდიტორული დასკვნისთვის.

ხელმძღვანელობისა და მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (IFRS) პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა აგრეთვე მოიცავს შიდა კონტროლის ისეთი სისტემის შემუშავებასა და დანერგვას, რომელიც უზრუნველყოფს თაღლითობით თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ხელმძღვანელობა ვალდებულია განიხილოს კომპანიის მიერ მომავალში ფუნქციონირების უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობა, საჭიროების მიხედვით ანგარიშგებაში წარადგინოს შესაბამისი ახსნა-განმარტებები ამ საკითხთან დაკავშირებით და ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობა აპირებს კომპანიის ლიკვიდაციას ან ოპერაციების შეწყვეტას, ან როდესაც ხელმძღვანელობას არ აქვს სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა საქმიანობის შეწყვეტისა.

მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელი არიან ზედამხედველობა გაუწიონ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს.

შპს გრანტ თორნტონ
ს/ნ: 200136600
იურიდიული მისამართი:
საქართველო, თბილისი,
ისნის რაიონი,
ქეთევან წამებულის გამზირი, № 54
ტ.: + 995 322 604 406

Grant Thornton LLC
I/N: 200136600
Legal address:
Georgia, Tbilisi, Isani district,
Ketevan Tsamebuli avenue, № 54
T.: + 995 322 604 406



აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება მასზე, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და წარვადგინოთ ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს აუდიტორულ დასკვნას (მოსაზრებას) აღნიშნულზე. დასაბუთებული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ ის არ არის გარანტია იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისად ჩატარებული აუდიტი აუცილებლად გამოავლენს არსებით უზუსტობებს მათი არსებობის შემთხვევაში. უზუსტობა შეიძლება წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად. უზუსტობები მიიჩნევა არსებითად, თუკი, გონივრულობის ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ მათ, ცალ-ცალკე ან ერთობლიობაში, შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, როგორც აუდიტის პროცესის შემადგენელი ნაწილი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ შეფასებას და ვიცავთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვსაზღვრავთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამგვარი რისკების საპასუხოდ და მოვიპოვებთ ჩვენი აუდიტორული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. თაღლითობით გამოწვეული არსებითი შეცდომების შემჩნევლობის რისკი შეცდომით გამოწვეული უზუსტობების შემჩნევლობის რისკზე მაღალია, რადგან თაღლითობა მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა შეთქმულება, გაყალბება, განზრახ რაიმე ინფორმაციის გამოტოვება და არასრული სახით წარდგენა, ან შიდა კონტროლის არსწორი წარმართვა.
- ვერკვევით კომპანიის შიდა კონტროლის სისტემის იმ ნაწილში, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტის მიზნებისათვის, რათა დავგეგმოთ არსებული სიტუაციისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებების შესაბამისობას.
- განვიხილავთ რამდენად შესაფერისი იყო ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადება საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვებაზე დაყრდნობით და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, ვაფასებთ, ხომ არ არის მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა დაკავშირებული იმ მოვლენებთან და პირობებთან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინონ მომავალში კომპანიის მიერ საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა არსებობს, მაშინ ჩვენ განმოთხილავთ აუდიტორულ დასკვნაში მიუთითოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა, სადაც განხილულია აღნიშნული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, ხოლო თუკი ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული განუსაზღვრელობის არსებობა არ არის აღეკვეთილი ადფერილი, მაშინ მოგვეთხოვება აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრებები დაფუძნებულია ჩვენ მიერ აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე. თუმცა მომავალში შესაძლოა მოხდეს ისეთი მოვლენები, რომლებსაც გავლენა ექნებათ კომპანიის ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობაზე.
- განვიხილავთ ფინანსური ანგარიშგების მთლიან სტრუქტურას, რომელიც მოიცავს წარდგენებს, თუ რამდენად სამართლიანად არის ასახული მასში ტრანზაქციები და მოვლენები.

მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან, აუდიტის პროცესში, გვქონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე.

ვანტანგ ცაბაძე

სერტიფიცირებული აუდიტორი / მმართველი პარტნიორი

აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-774309

შპს გრანტ თორნტონ, თბილისი, საქართველო

21 მაისი 2024

Vakhtang
Tsabadze
01017024435



Digitally signed
by Vakhtang
Tsabadze
Date: 2024.05.21
12:43:14



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშება

(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)

ლარი	შენიშვნა	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	319,965	105,036
აქტივების გამოყენების უფლება	5	337,570	359,920
არამატერიალური აქტივები		70,709	11,868
გადახდილი ავანსები	6	500,000	1,477,263
		1,228,244	1,954,087
მიმდინარე აქტივები			
მარაგები		13,473	45,004
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	257,438	126,495
წინასწარ გაწეული ხარჯები	6	983,438	265,137
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	8	5,243,574	3,488,616
		6,497,923	3,925,252
სულ აქტივები		7,726,167	5,879,339
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი და რეზერვები			
საწესდებო კაპიტალი		74,953	74,953
აკუმულირებული მოგება		3,935,451	3,708,316
		4,010,404	3,783,269
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება	9	298,304	311,844
		298,304	311,844
მიმდინარე ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება	9	81,061	9,323
საკონტრაქტო ვალდებულება	11	1,726,731	974,157
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	1,024,608	656,953
საგადასახადო ვალდებულებები		585,059	143,793
		3,417,459	1,784,226
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		7,726,167	5,879,339

ფინანსური ანგარიშგება დადასტურებულია 2024 წლის 21 მაისს:

გიორგი შანიძე ელენე თარხან-მოურავი
ადმასრულებელი დირექტორი ფინანსური დირექტორი

ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები, რომლებიც 9-30 გვერდებზეა წარმოდგენილი, ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.



გ. შანიძე

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)

ლარი		2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდი	2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდი
	შენიშვნა		
შემოსავალი	11	25,499,571	15,658,618
რეალიზაციის თვითღირებულება	12	(13,749,305)	(8,081,681)
წმინდა მოგება		11,750,266	7,576,937
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	13	(3,628,391)	(2,354,751)
ხელფასები და სხვა სარგებლის ხარჯი		(2,683,779)	(1,707,798)
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან		5,438,096	3,514,388
საპროცენტო შემოსავალი	14	264,503	71,760
საპროცენტო ხაჯი	14	(41,019)	(3,348)
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება	15	(117,939)	18,460
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		11,470	45,724
მოგება დაბეგვრამდე		5,555,111	3,646,984
მოგების გადასახადის ხარჯი		(800,908)	(245,704)
წლის მოგება		4,754,203	3,401,280
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის სრული შემოსავალი		4,754,203	3,401,280

ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები, რომლებიც 9-30-ე გვერდებზეა წარმოდგენილი, ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)

ლარი	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება	სულ
2021 წლის 31 დეკემბერი	74,953	1,570,194	1,645,147
პერიოდის მოგება	-	3,401,280	3,401,280
სულ წლის მთლიანი შემოსავალი	-	3,401,280	3,401,280
დივიდენდი	-	(1,263,158)	(1,263,158)
სულ ოპერაციები დამფუძნებლებთან	-	(1,263,158)	(1,263,158)
2022 წლის 31 დეკემბერი	74,953	3,708,316	3,783,269
პერიოდის მოგება	-	4,754,203	4,754,203
სულ წლის მთლიანი შემოსავალი	-	4,754,203	4,754,203
დივიდენდები	-	(4,527,068)	(4,527,068)
სულ ოპერაციები დამფუძნებლებთან	-	(4,527,068)	(4,527,068)
2023 წლის 31 დეკემბერი	74,953	3,935,451	4,010,404

ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები, რომლებიც 9-30-ე გვერდებზეა წარმოდგენილი, ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)

ლარი	2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდი	2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	5,555,111	3,646,984
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	119,806	49,070
ფინანსური შემოსავალი	(264,503)	(71,760)
ფინანსური ხარჯი	41,019	3,348
ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან მიღებული ზარალი	4,117	10,952
კურსთაშორის სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)	117,939	(18,460)
საოპერაციო მოგება საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე	5,573,489	3,620,134
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	(98,994)	2,706
ცვლილება წინასწარ გადახდებში	258,962	(1,765,805)
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	290,220	847,358
ცვლილება საკონტრაქტო ვალდებულებაში	752,574	(233,236)
ცვლილება მიღებულ ავანსებში	31,531	(45,004)
ცვლილება საგადასახადო აქტივში	(359,642)	(205,540)
ფული ოპერაციებიდან	6,448,140	2,220,613
გადახდილი პროცენტი	(38,568)	-
მიღებული პროცენტი	232,503	71,760
წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან	6,642,075	2,292,373
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალების შეძენა	(256,226)	(93,781)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	2,957	9,188
არამატერიალური აქტივების შეძენა	(62,535)	(13,499)
წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობაში	(315,804)	(98,092)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
	(3,792)	-
დივიდენდი	(4,527,068)	(1,263,158)
წმინდა ფული საფინანსო საქმიანობაში	(4,530,860)	(1,263,158)
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა	1,795,411	931,123
უცხოური ვალუტის გავლენა ფულზე	(40,453)	(37,839)
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	3,488,616	2,595,332
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	5,243,574	3,488,616

ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები, რომლებიც 9-30-ე გვერდებზეა წარმოდგენილი, ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)

1 ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შპს ფიტპასს ჯორჯია (შემდგომში კომპანია) დაარსდა 2019 წლის 18 თებერვალს და მდებარეობს საქართველოში. კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, შეიქმნა საქართველოს რეგულაციების შესაბამისად და რეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ საიდენტიფიკაციო ნომრით 406271895.

დაარსების დღიდან დღემდე კომპანია უზრუნველყოფს თავიანთი მომხმარებლისთვის სხვადასხვა ფიტნეს ცენტრებთან წვდომის მომსახურებას. ის მომხმარებლებს სთავაზობს ელექტრონულ საწევრო ბარათებს, რომლებიც მათ საშუალებას აძლევს, წვდომა ჰქონდეთ რამდენიმე ფიტნეს ცენტრთან, ყოველთვიური ფიქსირებული გადასახადის სანაცვლოდ. ფიტნეს ცენტრები განიხილებიან როგორც პარტნიორები და კომპანია უხდის მათ შეთანხმებულ ფიქსირებულ გადასახადს თითოეული მომხმარებლის თითოეული ვიზიტისათვის. ფინანსური ანგარიშგების თარიღისთვის კომპანიას არ ჰყავს პირდაპირი კონკურენტები საქართველოს ბაზარზე, ვინაიდან იგი პირველი ბაზრის მოთამაშეა საქართველოში, რომელიც მომხმარებლებს სთავაზობს მრავალ ფიტნეს ცენტრთან წვდომის საშუალებას.

კომპანიის თანამშრომელთა საშუალო რაოდენობამ 2023 წლის განმავლობაში შეადგინა 29 თანამშრომელი (2022: 28 თანამშრომელი).

კომპანიის იურიდიული რეგისტრაციის მისამართია: ლეხ კაჩინსკის ქ. N1, თბილისი, საქართველო.

ანგარიშგების თარიღისთვის, საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულაციების შესაბამისად, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს. ამავე რეგულაციების მიხედვით, კომპანია არ არის საზოგადოებრივი დაინტერესების პირი (სდპ).

ბიზნეს გარემო

პოლიტიკურ და ეკონომიკურ გარემოში მომხდარ ცვლილებებს და საქართველოში იურიდიული, საგადასახადო და საკანონმდებლო სისტემების ცვლილებებს განგრძობითი ხასიათი აქვს. საქართველოს ეკონომიკის სტაბილურობა და განვითარება დიდწილად დამოკიდებულია ამ ცვლილებებზე. მთავრობამ განაახლა ქმედებები უკეთესი მართვისთვის, მათ შორის გაზარდა ანტიკორუფციული ძალისხმევა, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულების პასუხისმგებლობა.

კომპანიის მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მათი ლიკვიდობის მდგომარეობა საკმარისია მდგრადი ფუნქციონირებისათვის. კომპანია რეგულარულად აკონტროლებს ლიკვიდურობის მდგომარეობას და საჭიროების შემთხვევაში მზად არის გამოიყენოს ლიკვიდურობის შესანარჩუნებლად შესაბამისი ინსტრუმენტები.

2 შედგენის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთს (ბასსს) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დაშვებით, რომ კომპანია ოპერირებს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით.

2.2 შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა დარიცხვის მეთოდსა და ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა ზოგიერთი ფინანსური ინსტრუმენტისა, რომლებიც ასახულია მომავალი ფულადი ნაკადების ახლანდელი (დისკოტირებული) ღირებულებით. თითოეული კატეგორიის აქტივებისა და ვალდებულების შეფასების დეტალები მოცემულია განმარტებით შენიშვნებში.

2.3 ფუნქციონალური და საანგარიშგებო ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში (გარდა განსაზღვრული ნახსენები შემთხვევებისა). ლარში გამოსახული ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ლარამდე.

2.4 შეფასებებისა და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე ანგარიშგების „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად მომზადებისათვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა მთელი რიგი შეფასებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის, აგრეთვე საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის შემოსავლებზე და ხარჯებზე. კონკრეტული სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი შეფასებები და მსჯელობებია გამოყენებული, ან სადაც ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული დაშვებები და სააღრიცხვო შეფასებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე, განხილულია მე-18 შენიშვნაში.

მიუხედავად იმისა, რომ ეს შეფასებები ეფუძნება ხელმძღვანელობის საუკეთესო ცოდნას მიმდინარე მოვლენებისა და ქმედებების შესახებ, ფაქტობრივი შედეგები საბოლოოდ შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან და თავდაპირველი შეფასებები და დაშვებები შეიცვლება სათანადოდ იმ წელს, როდესაც შეიცვლება გარემოებები.

2.5 ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

მიმდინარე წელს კომპანიამ მიიღო ყველა ახალი და შესწორებული სტანდარტი და ინტერპრეტაცია, რომელიც გამოცემული იყო ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (“IASB”) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის (“IFRIC”) მიერ, რომლებიც შესაბამისობაშია მის ოპერაციებთან და ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლის საანგარიშგებო პერიოდებისთვის. ამ ცვლილებების ბუნება და ეფექტი მოცემულია ქვემოთ.

ახალი და შესწორებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ძალაშია 1 იანვრიდან ან შემდეგი პერიოდებისთვის.

ახალ სტანდარტებსა და ცვლილებებს, რომლებიც აღწერილია ქვემოთ და პირველად იქნა გამოყენებული 2023 წელს, არ ჰქონია მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- IFRS 17 „სადაზღვევო კონტრაქტები“
- ცვლილებები ფასს 17-ში სადაზღვევო ხელშეკრულებებში (შესწორებები ფასს 17-ში და ფასს 4-ში)
- გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია აქტივებთან და ვალდებულებებთან, რომლებიც წარმოიქმნება ერთი ტრანზაქციის შედეგად (ბასს 12-ში ცვლილებები)
- სააღრიცხვო პოლიტიკის გამჟღავნება (შესწორებები ბასს 1-ში და IFRS-ის პრაქტიკის განცხადება 2)
- სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (ბასს 8-ში ცვლილებები)
- საერთაშორისო საგადასახადო რეფორმა - (ბასს 12-ში ცვლილებები)

არსებული სტანდარტები ცვლილებები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული და აღრე არ იქნა მიღებული კომპანიის მიერ

ამ ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღისთვის, გარკვეული ახალი სტანდარტები, ცვლილებები და არსებული სტანდარტების ინტერპრეტაციები გამოქვეყნდა ბასს-ის მიერ, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული და არ იქნა მიღებული კომპანიის მიერ აღრეულ ეტაპზე.

მენეჯმენტი ითვალისწინებს, რომ ყველა შესაბამისი განცხადება იქნება მიღებული კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში პირველი პერიოდისთვის, რომელიც იწყება განცხადების ძალაში შესვლის თარიღიდან ან მის შემდეგ.

ხელმძღვანელობა არ ითვალისწინებს არსებით გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე წინამდებარე სტანდარტებიდან და ცვლილებებიდან. ისინი წარმოდგენილია ქვემოთ:

სტანდარტი	სტანდარტის სათაური ან ინტერპრეტაცია	ძალაშია საანგარიშგებო პერიოდის დაწყებიდან
ბასს 1	ვალდებულებების კლასიფიკაცია, როგორც მიმდინარე ან გრძელვადიანი (ბასს 1-ში ცვლილებები)	1 იანვარი 2024
ბასს 1	გრძელვადიანი ვალდებულებები კოვენანტით (ბასს 1-ში ცვლილებები)	1 იანვარი 2024
ბასს 1	ურთიერთგაცვლის ნაკლებობა (ბასს 21-ში ცვლილებები)	1 იანვარი 2024
ფასს 17	ფინანსური შეთანხმებები მომწოდებელთან (შესწორებები ბასს 7-სა და ფასს 7-ში)	1 იანვარი 2024
ბასს 16	საიჯარო ვალდებულებები (ცვლილებები ფასს 16-ში)	1 იანვარი 2024

3 ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

3.1 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში საანგარიშგებო ვალუტაში (ლარი) გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული კურსით, რომელიც 2023 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.6894 ლარს და ერთი ევრო შეადგენს 2.9753 ლარს (2022 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 2.7020 ლარი და ერთი ევრო 2.8844 ლარი).

არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლოს კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ტრანზაქციის განხორციელების დღის კურსით), გარდა სამართლიანი ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი სამართლიანი ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.2 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა ან გაუფასურების ღირებულება. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალკე-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

მოგება, ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი მზადაა გამოყენებისთვის.

აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

ავეჯი	– 5 წელი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	– 5 წელი
საოფისე ტექნიკა	– 5 წელი

3.3 არამატერიალური აქტივები

პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც წარმოადგენს კომპანიის ერთადერთ არამატერიალურ აქტივს არ გააჩნია სასარგებლო მომსახურების ვადა და შესაბამისად ამორტიზაციის დარიცხვა არ ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

გაუფასურების შემთხვევაში, არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება გამოყენების ღირებულებისა და სამართლიანი ღირებულების გამოკლებული გასვლის დანახარჯები უდიდესი თანხით.

3.4 იჯარით აღებული აქტივები

კომპანია, როგორც მოიჯარე

კომპანია იყენებს სალიზინგო შეთანხმებებს, ძირითადად, საოფისე ფართის უზრუნველსაყოფად. როგორც წესი, ოფისებისთვის გაქირავების ხელშეკრულებების ვადა შეთანხმებულია 1 – დან 5 წლამდე პირობით. იჯარის შესახებ მოლაპარაკება ხდება ინდივიდუალურ საფუძველზე და არ შეიცავს დამატებით პირობებს, ისეთებს, როგორიცაა შესყიდვის უფლება და ესკალაციის მუხლები.

კომპანია აფასებს, წარმოადგენს თუ არა ხელშეკრულება გაფორმების დროისთვის იჯარას, ანშეიცავს თუ არა იგი იჯარის პირობებს. მეიჯარე გადასცემს აქტივის გამოყენებისა და ამა აქტივთან დაკავშირებული მთლიანი სარგებლის მიღების უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში განსაზღვრული გასამრჯელოს სანაცვლოდ.

კომპანიამ აირჩია არ დაეყო თავისი იჯარით ფლობილი ოფისები საიჯარო და არასაიჯარო კომპონენტებად და ამის ნაცვლად აღრიცხავდა ამ ხელშეკრულებებს, როგორც ერთ საიჯარო კომპონენტს.

იჯარის აღიარება და შეფასება

იჯარის დაწყების თარიღისათვის კომპანია აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებასა და საიჯარო ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში..

აქტივის გამოყენების უფლება განისაზღვრება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას, კომპანიის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს, იჯარის ბოლოს აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციისთვის საჭირო შეფასებით ხარჯებს და იჯარის დაწყების თარიღისთვის გადახდილ ავანსებს (ყველა მიღებული წამახალისებელი გადახდების გამოკლებით). კომპანია, აქტივების გამოყენების უფლებებისთვის, იყენებს ცვთის წრფივ მეთოდს იჯარის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი. კომპანია ასევე აფასებს აქტივის გამოყენების უფლების გაუფასურებას, როდესაც ასეთი ინდიკატორი არსებობს.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია საიჯარო ვალდებულებას აფასებს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება ხორციელდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად შეიძლება, ან კომპანიის ზღვრული სასესხო განაკვეთის საშუალებით.

საიჯარო გადახდები, რომლებიც გაითვალისწინება საიჯარო ვალდებულების შეფასებაში, მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის, არსებითად ფიქსირებულ გადახდებს), ინდექსზე ან განაკვეთზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს, თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით და უფლებებით წარმომოხილ გადახდებს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეამციროს განხორციელებული საიჯარო გადახდებით და გაზარდოს საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტით. საიჯარო ვალდებულების შეფასება ხდება ხელახლა, რათა აისახოს ხელახალი შეფასების შედეგი, ან იჯარის მოდიფიკაციები, ან გადასინჯული არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადახდები.

საიჯარო ვალდებულებების ხელახალი შეფასების შემდეგ, შესაბამისი კორექტირება აისახება აქტივის გამოყენების უფლებაზე ან მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება ნულია.

კომპანიამ გადაწყვიტა მოკლევადიანი და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარა აღრიცხოს პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის გამოყენებით. აქტივის გამოყენების უფლებისა და საიჯარო ვალდებულების აღიარების ნაცვლად, იჯარასთან დაკავშირებული გადახდები აღიარდება ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით, იჯარის პერიოდის განმავლობაში.

კომპანია, როგორც მემწე

კომპანია, როგორც მემწე, ყოფს იჯარით გაცემულ ქონებას როგორც საოპერაციო და ფინანსური იჯარა.

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურად, თუკი აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი გადაეცემა მოიჯარეს, ხოლო თუ ასე არ ხდება, იჯარა კლასიფიცირდება, როგორც საოპერაციო.

3.5 ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების, ასევე შემოსავლებისა და ხარჯების, ურთიერთგადაფარვა ხორციელდება, და ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება წმინდა ღირებულება მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის კანონიერი უფლება და ამავე დროს არსებობს ურთიერთგადაფარვის განხორციელების ან აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის ერთდროულად განხორციელების განზრახვა.

წმინდა შემოსავალი და ხარჯები წარმოდგელობს ბუღალტრული არიცხვის და ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად როდესაც არის დაშვებული, ან მოგება და ზარალი წარმოიქმნება ჯგუფში მსგავსი ტრანზაქციებიდან როგორც არის კომპანიის სავაჭრო საქმიანობა.

3.6 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება და აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მას შემდეგ, რაც ამოიწურება ფინანსური სარგებლის მიღების სახელშეკრულებო უფლება, ან როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკის მნიშვნელოვანი წილი გადადის სხვა მხარეზე.

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება, როდესაც ის შესრულებულია, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და თავდაპირველი შეფასება

იმ სავაჭრო მოთხოვნების გარდა, რომლებიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს და შეფასებულია გარიგების ფასად ფასს 15-ის მიხედვით, ყველა ფინანსური აქტივი თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით დაკორექტირებული გარიგების დანახარჯებით.

აღიარების შემდგომი შეფასების მიზნებისათვის ფინანსური აქტივები გარდა ჰეჯირების ინსტრუმენტებისა, დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- ამორტიზებული ღირებულება
- რეალური ღირებულების მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL)
- რეალური ღირებულება ცვლილების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI).

წარმოდგენილ პერიოდში კომპანიას არ აქვს ფინანსური აქტივების კატეგორია FVOCI.

კლასიფიკაცია განისაზღვრება ორივე შემდეგი კრიტერიუმის მიხედვით:

- კომპანიის ბიზნეს მოდელი ფინანსური აქტივის მართვისთვის;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები.

ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ყველა შემოსავალი და ხარჯი, რომელიც აღიარებულია მოგებაში ან ზარალში წარმოდგენილია ფინანსურ ხარჯებში, ფინანსურ შემოსავალში ან სხვა ფინანსურ მუხლებში, გარდა

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებისა, რომლებიც წარმოდგენილია სხვა ხარჯებში. კომპანიის ფინანსური აქტივები კატეგორიების მიხედვით მოცემულია შენიშვნაში 21.2-ში.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების ამორტიზებული ღირებულებით შეფასება

ფინანსური აქტივები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით თუ აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს (და არ არის განსაზღვრული როგორც FVTPL):

- კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივებს ისეთი ბიზნეს მოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელმწიკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით
- ფინანსური აქტივის სახელმწიკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას

ყველა სხვა ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება და ფასდება "რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით" (FVTPL), თუ საწარმო არ გააკეთებს შეუქცევად არჩევანს, რომ თავდაპირველი აღიარებისას წილობრივ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მოგება ან ზარალი ასახოს სხვა სრულ შემოსავალში (რომელიც არ არის გამიზნული გასაყიდად ან არ არის აღიარებული პირობით ასანაზღაურებელ თანხად ბიზნეს გაერთიანების დროს).

წილობრივი ინსტრუმენტების შემთხვევაში, გარიგების ფასი მიჩნეულია ფინანსური აქტივის რეალურ ღირებულებად ანგარიშსწორების თარიღისთვის თუ სახეზე არ არის ქვემოთ მოცემული ინდიკატორები:

- ინვესტირებული საწარმოს საქმიანობის შედეგების მნიშვნელოვანი ცვლილება ბიუჯეტთან, გეგმებთან და საკონტროლო ორიენტირებთან შედარებით;
- ცვლილება მოლოდინში, რომ ინვესტირებული საწარმოს ტექნიკური პროდუქტის საკონტროლო მაჩვენებლები მიღწეული იქნება;
- ინვესტირებული საწარმოს კაპიტალის, პროდუქციის ან პოტენციური პროდუქციის ბაზრის მნიშვნელოვანი ცვლილებები;
- მნიშვნელოვანი ცვლილებები გლობალურ ეკონომიკაში, ან ეკონომიკურ გარემოში, სადაც საქმიანობს ინვესტირებული საწარმო;
- მნიშვნელოვანი ცვლილებები შესადარისი საწარმოების საქმიანობაში, ან საერთო საბაზრო შეფასებებში;
- ინვესტირებული საწარმოს შიდა ფაქტორები, როგორიცაა თაღლითობა, კომერციული დავები, კანონმდებლობა, ხელმძღვანელობის ან სტრატეგიის ცვლილებები;
- ინვესტირებული საწარმოს საკუთარ კაპიტალზე განხორციელებული გარე გარიგებების მტკიცებულებები, თავად ინვესტირებული საწარმოს მონაწილეობით (როგორიცაა, მაგალითად აქციების ახალი ემისია), ან წილობრივი ინსტრუმენტების გადაცემით მესამე მხარეთა შორის.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფასს 9-ის მოთხოვნები იყენებს უფრო მეტად საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარებისას – „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) მოდელი“. ეს ანაცვლებს ბასს 39-ის „განცდილი ზარალის მოდელს“. ახალ განსაზღვრებაში მოქცეული ინსტრუმენტები, რომლებიც მოიცავს სესხებს და სხვა სავალო ტიპის ფინანსურ აქტივებს შეფასებულს ამორტიზებული ღირებულებით და რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, სავაჭრო მოთხოვნებს, სახელმწიკრულებო აქტივებს, რომლებიც აღიარებული და შეფასებულია ფასს 15-ის მიხედვით და სესხის გაცემის ვალდებულებას და ზოგიერთი ფინანსური გარანტიის ხელმწიკრულებებს (ემიტენტისთვის), რომლებიც არ არიან შეფასებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

საკრედიტო ზარალის აღიარება აღარ არის დამოკიდებული კომპანიის საკრედიტო ზარალის პირველად აღმოჩენის შემთხვევაზე. ამის მაგივრად კომპანია განიხილავს უფრო ფართო არეალის ინფორმაციას, როდესაც აფასებს საკრედიტო რისკს და მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, ეს ინფორმაცია მოიცავს, წარსულ შემთხვევებს, მიმდინარე პირობებს, მართებულ და მისაღებ პროგნოზს, რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის მომავალი ფულადი ნაკადების მოსალოდნელ შეგროვებადობაზე.

ამ საპროგნოზო მიდგომის დანერგვისას, გამიჯვნა ხდება:

- ფინანსურ ინსტუმენტებს შორის, რომლებიც საკრედიტო ხარისხის მიხედვით საგრძნობლად არ გაუარესებულა საწყისი აღიარების შემდგომ ან აქვს დაბალი საკრედიტო რისკი (დონე 1), და
- ფინანსურ ინსტუმენტებს შორის, რომლებიც საგრძნობლად გაუარესდნენ კრედიტის ხარისხის მიხედვით საწყისი აღიარების შემდგომ და მათი საკრედიტო რისკი არ არის დაბალი (დონე 2)
- დონე 3 მოიცავს ფინანსურ აქტივებს, რომლებსაც აქვს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება საანგარიშგებო თარიღისთვის.

„12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“ აღიარებულია პირველი კატეგორიით, ხოლო „არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“ მეორე კატეგორიით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება განსაზღვრულია ალბათობებით შეწონილი საკრედიტო ზარალის შეფასებით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი არსებობის მანძილზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და სახელმწიფო აქტივები

იმ დებიტორული დავალიანებებისათვის, რომლებიც არ უფასურდება ინდივიდუალურად, კომპანია გაუფასურების რეზერვს განსაზღვრავს კოლექტიურად, რაც დაფუძნებულია თანხების მოკრების კომპანიის წარსულ გამოცდილებაზე, პორტფელში დაგვიანებული გადახდების ზრდაზე, ეკონომიკურ მდგომარეობაში ცვლილებებზე და სხვა.

დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვის გაანგარიშების პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ ცხრილის სახით:

ვადაგადაცილების დღეები	<30	31-60	61-90	91-180	180>
დარეზერვების პროცენტულობა	0%	5%	25%	50%	100%

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისთვის, თუ გაუფასურების ზარალი შემდგომ პერიოდში შემცირდება და ეს შემცირება გამყარებულია ობიექტური მტკიცებულებით გაუფასურების აღიარების შემდგომ მომხდარი მოვლენებით, მაშინ ხდება წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალის უკან დაბრუნება (პირდაპირ ან დებიტორული დავალიანების საექსპო მითხოვნების რეზერვის კორექტირებით) მოგება-ზარალის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში.

თუმცა, უკან დაბრუნების შედეგად, საბალანსო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს ფინანსური აქტივის ამორტიზირებულ ღირებულებას, რომელიც დაფიქსირდებოდა თუ არ აღიარდებოდა გაუფასურება გაუფასურების უკან დაბრუნების დღეს.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებსა და საიჯარო ვალდებულებებს. შეჯამება კომპანიის ფინანსური ვალდებულებების შესახებ, კატეგორიების მიხედვით იხილეთ შენიშვნაში 18.2

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო შემდგომში ისინი წარედგინება ამორტიზირებული ღირებულებით.

ფინანსური იჯარის ვალდებულებები

ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღისთვის, ფინანსური საიჯარო ვალდებულება ფასდება ამ დღემდე გადაუხდელი საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია იჯარაში ნაგულისხმევი პროცენტის გამოყენებით, რამდენადაც ეს პროცენტი უკვე ცნობილია, ან კომპანიის მიერ სესხების დისკონტირებისთვის გამოყენებული საპროცენტო განაკვეთით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსურ ვალდებულებების აღიარებას, როდესაც კომპანიამ შეასრულა ყველა ვალდებულება. სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ და გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებაში ან ზარალში.

როდესაც კომპანია არსებულ კრედიტორთან ცვლის ერთ სავალო ინსტრუმენტს მეორეში არსებითად განსხვავებული პირობებით, ასეთი გაცვლა აღირიცხება, როგორც საწყისი ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარება. ანალოგიურად, კომპანია ითვალისწინებს არსებული ვალდებულების ან მისი ნაწილის პირობების არსებით ცვლილებას, როგორც თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტას და ახალი ვალდებულების აღიარებას. პირობები არსებითად განსხვავებულია, თუ ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულება ახალი პირობებით, მათ შორის ნებისმიერი გადახდილი საკომისიო, მიღებული და დისკონტირებული ეფექტური განაკვეთის გამოყენებით, განსხვავდება მინიმუმ 10 პროცენტით დისკონტირებული ახლანდელი ღირებულებისაგან თავდაპირველ ფინანსური ვალდებულების დარჩენილი ფულადი ნაკადების ღირებულება.

3.7 ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრების ანგარიშგების მიზნებისათვის ფულადი ეკვივალენტები არის არა მოთხოვნადი დღეპოზიტები, ასევე მოკლევადიანი, მაღალ ლიკვიდური ინვესტიციები რომლებიც ადვილად კონვერტირებადი ფულად სახსრებად და რომლებიც ატარებენ ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი სახსრები გამოიყენება უფრო მოკლევადიანი ფულადი ვალდებულებების შესრულების მიზნით, ვიდრე ინვესტიციის ან სხვა მიზნებისთვის. კომპანია ინვესტიციას აკლასიფიცირებს როგორც ფულადი სახსრების ეკვივალენტს, თუ იგი ადვილად კონვერტირდება ფულადი სახსრების ცნობილ რაოდენობაში და აქვს ღირებულების დაკარგვის უმნიშვნელო რისკი.

3.8 კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. კომპანიის საწესდებო კაპიტალში ცვლილებები (როგორიცაა კაპიტალის ცვლილება, მფლობელების ცვლილება და ა.შ) ხორციელდება კომპანიის პარტნიორების მიერ.

აკუმულირებული მოგება-ზარალი მოიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალებს. გადასახდელი დივიდენდები აღიარდება ვალდებულებად იმ პერიოდში, როცა ის გამოცხადდება.

3.9 გადახდილი ავანსები

გაცემული ავანსების წარდგენა ხდება თვითღირებულებით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. ავანსი კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე, როდესაც წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიიღება ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდა ეხება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისთანავე კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე. წინასწარი გადახდები აქტივების შესაძენად გადაირიცხება აქტივის საბალანსო ღირებულებაზე, მას შემდეგ რაც კომპანიამ მიიღო კონტროლი აქტივზე და სავარაუდოა, რომ ამ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიისთვის.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგებაში ან ზარალში, როდესაც საქონელზე ან მომსახურებაში მიიღება წინასწარ გადახდა. თუ არსებობს მითითება, რომ წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული აქტივები, საქონელი ან მომსახურება არ მიიღება, წინასწარი გადახდის საბალანსო ღირებულება ჩამოწერილია შესაბამისად და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარებულია წლის მოგებაში ან ზარალში.

3.10 ანარიცხები

ანარიცხები აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როდესაც კომპანიას აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსული მოვლენის შედეგად და სავარაუდოა, რომ საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის გადინება ვალდებულების დასაფარად. თუ ეფექტი არსებითია, რეზერვები განისაზღვრება მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულებით. განაკვეთით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებას და საჭიროების შემთხვევაში, ვალდებულებების სპეციფიკურ რისკებს.

3.11 მოგების გადასახადი

საქართველოში მოქმედი დაბეგვრის მოდელი, რომელიც მოქმედებს 2017 წლის 1 იანვრიდან ("მოგების გადასახადის ესტონური მოდელი") გულისხმობს კორპორატიული გადასახადის ნულოვან განაკვეთს გაუნაწილებელ მოგებაზე და 15%-იან კორპორატიულ გადასახადის განაკვეთს 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ განაწილებულ ან დივიდენდის სახით გაცემულ მოგებაზე. მოგების გადასახადი -15% გადაიხდება მთლიან ღირებულებაზე (მაგალითად, ნეტო დივიდენდები უნდა გაიზარდოს გამოქვითული გადასახადის 5%-ით,

ასეთის არსებობის შემთხვევაში და იყოფა 0.85-ზე) ფიზიკურ პირებზე, ან არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გადახდის მომენტში. 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ მიღებული მოგებიდან, იურიდიული პირისთვის გადახდილი დივიდენდი განთავსიუფლებულია გადასახადისგან.

დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადი ასევე გადაიხდება ხარჯებზე ან სხვა გადახდებზე, რომლებიც დაკავშირებულია არაეკონომიკურ საქმიანობასთან, აქტივების ან მომსახურების უფასო მიწოდებას და წარმომადგენლობით ხარჯებთან, რომლებიც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას. შედავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციის მქონე ქვეყნებში რეგისტრირებული პირებისთვის გადახდილი ყველა ავანსი და სხვა მსგავსი გარიგებები, ასევე რეზიდენტებსა, თუ არარეზიდენტებზე გაცემული სესხები, დაუყოვნებლივ იბეგრება. ასეთი გადასახადები სხვა გადახდებთან ერთად, გამოკლებული შედავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციის მქონე ქვეყნებში რეგისტრირებული პირებისთვის გადახდილი ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებებზე მოთხოვნილი საგადასახადო კრედიტები, ასევე ფიზიკური პირებზე ან არარეზიდენტებზე გაცემული სესხების დაბრუნება, აღირიცხება საოპერაციო ხარჯების - "გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა"- მუხლში.

აღნიშნული ცვლილების გამო, ფინანსური ანგარიშგებაში არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებს და მათ დასაბეგრ ბაზებს შორის. შესაბამისად ბასს 12 ის მოხედვით, არ არსებობს გადავადებული მოგების გადასახადის არც აქტივი და არც ვალდებულება.

3.12 დამატებული ღირებულების გადასახადი

დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის საქონლის ან მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისას. რომელიც უნდა გადაიხადოს არაუგვიანეს ოპერაციის თარიღის მომდევნო თვის თხუთმეტი რიცხვისა. როგორც წესი, ხდება დღს-ჩათვლა ინვოისის მიღებისას. საგადასახადო ორგანოები ნებას რთავენ დღგ-ს ანგარიშსწორება მოახდინონ წმინდა საფუძველზე.

გაყიდვებთან და შესყიდვებთან დაკავშირებული დღგ აღიარებულია და წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წმინდა სახით. როდესაც რეზერვი გაკეთდა დებიტორული დავალიანების გაუფასურების თაობაზე, გაუფასურების ზარალი აღიარდება მთლიანი თანხით დღგ-ს ჩათვლით.

3.13 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში ოპერაციები კონვერტირდება კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით. ანგარიშგების თარიღისთვის უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში ამ თარიღის შესაბამისი გაცვლითი კურსით.

მოგება ან ზარალი ფულადი სახსრებიდან არის სხვაობა პერიოდის დასაწყისში ფუნქციონალურ ვალუტაში ამორტიზებულ ღირებულებას, რომელიც კორექტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით და გადახდებით პერიოდის განმავლობაში და ამორტიზებულ ღირებულებით უცხოურ ვალუტაში კონვერტირებული გაცვლითი კურსით. საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც ფასდება რეალური ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში იმ თარიღის შესაბამისი გაცვლითი კურსით, როდესაც სამართლიანი ღირებულება დადგინდა. უცხოურ ვალუტაში არსებული არაფულადი მუხლები, რომლებიც ფასდება ისტორიული ღირებულებით, კონვერტირდება ოპერაციის თარიღის შესაბამისი გაცვლითი კურსით. კურსთაშორის სხვაობა, აღიარებულია მოგება-ზარალში.

3.14 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევნ შესაბამის მომსახურებას, მოიცავს:

- (ა) ხელფასებს, ანაზღაურებებსა და პრემიებს;
- (ბ) წლიურ ფასიან შვებულებებს და ბიულეტენის ანაზღაურებებს;
- (გ) სოციალური უსაფრთხოებისა და სხვა სოციალურ გადახდებს;

თუ დაქირავებულმა პირმა რომელიმე სააღრიცხვო პერიოდში საწარმოს გაუწია მომსახურება, დაქირავებუ;ო პირის მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული ოდენობა, რომელიც გადასახდელია ამ

მომსახურებისთვის, საწარმომ უნდა აღიაროს:

(ა) როგორც ვალდებულება (დარიცხული ხარჯი) ნებისმიერი, უკვე გადახდილი თანხის გამოკლების შემდეგ. თუ უკვე გადახდილი თანხა აღემატება გასამრჯელოს არადისკონტირებულ ღირებულებას, ნამეტი თანხა უნდა აღიარდეს აქტივად (წინასწარ გაწეულ ხარჯად) იმ ოდენობით, რა ოდენობითაც წინასწარგადახდა უზრუნველყოფს მომავალში გადასახდელების შემცირებას ან ფულადი სახსრების უკან დაბრუნებას.

(ბ) როგორც ხარჯი, თუკი მისი ოდენობა არ არის ჩართული აქტივის თვითღირებულებაში.

ანაზღაურებადი შვებულებები

ანაზღაურებადი შვებულების სახით თანამშრომელთა მოკლევადიანი სარგებლის მოსალოდნელი ღირებულება აღიარებულია შემდეგნაირად:

(ა) დაგროვებადი ანაზღაურებადი შვებულების შემთხვევაში - როცა თანამშრომლები გასწევენ მომსახურებას, რაც ზრდის მომავალში გამოსაყენებელი ფასიანი შვებულებების ოდენობას;

(ბ) არადაგროვებადი ანაზღაურებადი შვებულების შემთხვევაში, როცა დგება შვებულება.

პრემიები

გადასახდელი პრემიების მოსალოდნელი ხარჯი აღიარდება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუწარსული მოვლენის შედეგად კომპანიას აქვს ზემოაღნიშნული გასამრჯელოების გადახდის მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება და შესაძლებელია ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

მიმდინარე ვალდებულება მხოლოდ მაშინ არსებობს, როდესაც საწარმოს არა აქვს სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა იმისა, რომ გადაიხადოს ეს გასამრჯელოები..

3.15 შემოსავალი

შემოსავალი აღიარებულია იმ ოდენობით, რაც ასახავს იმ მოსაკრებელს, რომელსაც მოელის ორგანიზაცია მომხმარებლისთვის საქონლის ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ.

იმისათვის, რომ განისაზღვროს უნდა აღიარდეს თუ არა შემოსავალი კომპანია განიხილავს 5 საფეხურიანი პროცესს:

1. მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიკაცია
2. შესასრულებელი ვალდებულებების იდენტიფიკაცია
3. გარიგების ფასის განსაზღვრა
4. გარიგების ფასის განაწილება შესასრულებელ ვალდებულებაზე
5. შემოსავლის აღიარება, როდესაც ნაკისრი ვალდებულება შესრულდება

ზოგადი მიმოხილვა მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებისათვის

კომპანიის შემოსავალი ძირითადად წარმოიქმნება კომპანიის მიერ მომხმარებლისთვის (იურიდიული პირებისთვის) ელექტრონული სამუშაოების საშუალებით გაწეული ფიტნეს მომსახურებიდან. ელექტრონული სამუშაო უზრუნველყოფს წვდომას პარტნიორ ორგანიზაციებში (ფიტნეს ცენტრებში) კლიენტებისთვის ყოველთვიური ფიქსირებული გადასახადის გადახდით.

მარწმუნებლისა და რწმუნებულის როლი

იმის დასადგენად, კომპანია მოქმედებს როგორც მარწმუნებელი ან როგორც რწმუნებული, მენეჯმენტმა გამოიყენა შემდეგი ინდიკატორები მომხმარებლებთან და მომწოდებლებთან დადებული ხელშეკრულებებიდან:

- ხელშეკრულების შესრულებაზე პირველ რიგში პასუხისმგებელია კომპანია
- კომპანიას აქვს მომხმარებელთან გასაყიდი ფასის დადგენის უფლებამოსილება, და კომპანიის მიერ მიღებული მოგება არის ის თანხა, რომელიც წარმოადგენს სხვაობას მომხმარებელთან შეთანხმებულ გასაყიდ ფასსა და მომწოდებლისათვის გადასახდელ თანხას შორის;
- კომპანიის საზღაური არ არის გამოხატული საკომისიოს ფორმით

- კომპანიას არის სრულიად პასუხისმგებელი გაწეული მომსახურების სანაცვლოდ მომხმარებელთაგან მისაღები თანხების ამოღებაზე.

ზემოაღნიშნული ინდიკატორების საფუძველზე სუბიექტი ასკვნის, რომ ის აკონტროლებს პროდუქტს კლიენტზე გადაცემამდე. ამრიგად, სუბიექტი არის ტრანზაქციის ძირითადი მხარე და აღიარებს შემოსავალს იმ ანაზღაურების მთლიან ოდენობით, რომელიც მან უნდა მიიღოს მომხმარებლისგან მომსახურების სანაცვლოდ.

საკონტრაქტო ვალდებულების შესრულების დროულობა

მომხმარებელბთან ხელშეკრულების შესაბამისად შემოსავალი აღიარებულია, როდესაც საქონელზე ან მომსახურებაზე კონტროლი გადაეცემა მომხმარებელს იმ თანხის სანაცვლოდ, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რომელსაც კომპანია მოელის, რომ დაიხარჯება ამ საქონლის ან მომსახურების მიწოდების სანაცვლოდ.

ფიტნეს მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი აღიარებულია დროთა განმავლობაში, როდესაც კომპანია ასრულებს ვალდებულებებს თავის მომხმარებლებზე სხვადასხვა ფიტნეს კლუბებში/ცენტრებში სპორტული დარბაზებსა და ფიტნეს სერვისებზე წვდომის მინიჭებით.

სახელშეკრულებო ვალდებულება აღიარებულია, თუ მომხმარებელი იხდის ანაზღაურებას ან კომპანიას აქვს უფლება ანაზღაურების ოდენობაზე, რომელიც არის უპირობო (ანუ მისაღები), სანამ კომპანია მომხმარებელს გადასცემს საქონელს ან მომსახურებას, კომპანია აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულებას, როდესაც გადახდა განხორციელდება გადახდის ვადაზე ადრე. სახელშეკრულებო ვალდებულება არის კომპანიის ვალდებულება, გადასცეს საქონელი ან მომსახურება მომხმარებელს, რომლისთვისაც კომპანიამ მიიღო ანაზღაურება (ან ანაზღაურების ოდენობა) მომხმარებლისგან.

4 ძირითადი საშუალებები

ლარი	საოფისე აღჭურვილ- ობა	ავეჯი და უძრავი ინვენტარი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
<i>თვითღირებულება</i>				
2021 წლის 31 დეკემბერი	40,579	30,152	-	70,731
შემოსვლა	17,272	48,136	28,373	93,781
გასვლა	(14,538)	(21,745)	-	(36,283)
2022 წლის 31 დეკემბერი	43,313	56,543	28,373	128,229
შემოსვლა	54,441	37,390	164,395	256,226
გასვლა	(1,208)	(10,294)	-	(11,502)
2023 წლის 31 დეკემბერი	96,546	83,639	192,768	372,953
<i>დაგროვილი ცვეთა</i>				
2021 წლის 31 დეკემბერი	12,495	5,945	-	18,440
პერიოდის ცვეთა	7,375	13,051	470	20,896
გასვლის შედეგად ელიმინაცია	(3,492)	(12,651)	-	(16,143)
2022 წლის 31 დეკემბერი	16,378	6,345	470	23,193
პერიოდის ცვეთა	12,271	15,195	6,757	34,223
გასვლის შედეგად ელიმინაცია	(728)	(3,700)	-	(4,428)
2023 წლის 31 დეკემბერი	27,921	17,840	7,227	52,988
<i>საბალანსო ღირებულება</i>				
2022 წლის 31 დეკემბერი	26,935	50,198	27,903	105,036
2023 წლის 31 დეკემბერი	68,625	65,799	185,541	319,965

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის არცერთი ძირითადი საშუალება არ იყო ჩადებული რომელიმე სასესხო ვალდებულების ან რაიმე სხვა ვალდებულების სასარგებლოდ გირაოში. ცვეთის ხარჯი მთლიანად მიეკუთვნა ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებს (იხ. შენიშვნა 13).

5 აქტივების გამოყენების უფლება

ლარი	საოფისე სივრცე	სულ
<i>თვითღირებულება</i>		
2021 წლის 31 დეკემბერი	536,434	536,434
შემოსვლა	385,629	385,629
შეწყვეტა	(536,434)	(536,434)
2022 წლის 31 დეკემბერი	385,629	385,629
შემოსვლა	59,539	59,539
2023 წლის 31 დეკემბერი	445,168	445,168
<i>დაგროვილი ცვეთა</i>		
2021 წლის 31 დეკემბერი	189,790	189,790
პერიოდის ცვეთა	25,709	25,709
გასვლის შედეგად ელიმინირება	(189,790)	(189,790)
2022 წლის 31 დეკემბერი	25,709	25,709
პერიოდის ცვეთა	81,889	81,889
2023 წლის 31 დეკემბერი	107,598	107,598
<i>საბალანსო ღირებულება</i>		
31 დეკემბერი 2022 წელი	359,920	359,920
31 დეკემბერი 2023 წელი	337,570	337,570

ცვეთის ხარჯი მთლიანად მიეკუთვნა ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებს (იხ. შენიშვნა 13).

6 გადახდილი ავანსები

ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
შპს „არენა“	695,000	880,000
შპს „სერვის გრუპი“	719,863	800,000
სხვა კომპანიები	68,575	62,400
	1,483,438	1,742,400
<i>დაყოფილი შემდეგნაირად:</i>		
გრძელვადიანი	500,000	1,477,263
მოკლევადიანი	983,438	265,137
	1,483,438	1,742,400

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიამ აღიარა წინასწარ გაწეული ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია მის მთავარ მომწოდებლებთან, შპს არენასთან და შპს სერვის გრუპთან. 2022 წლის 14 ივლისს კომპანიამ შპს „არენასთან“ გააფორმა ხელშეკრულება 880 000 ლარის ავანსის გადახდაზე. ამ ავანსის მიზანია შპს „არენას“ ობიექტში აუზის სარემონტო სამუშაოების ჩატარება. ავანსი კომპენსირდება შპს „არენას“ მიერ ვალდებულებების დაკისრებით კომპანიის აბონენტების სპორტულ დაწესებულებებში ვიზიტების საფუძველზე 5 წლის განმავლობაში. ანალოგიურად, 2022 წლის 27 აპრილს კომპანიამ გააფორმა ხელშეკრულება შპს სერვისს ჯგუფთან 800 000 ლარის ავანსის გაცემის შესახებ. ამ ავანსის მიზანია შპს სერვისს ჯგუფის დახმარება ახალი სპორტული დარბაზის გახსნაში. ავანსი კომპენსირდება შპს სერვისს ჯგუფის მიერ დაკისრებული ვალდებულებებით, რომლებიც წარმოიქმნება კომპანიის აბონენტების სპორტულ ობიექტებში ვიზიტების საფუძველზე, 2 წლის განმავლობაში და ერიცხება წლიური 4% საპროცენტო შემოსავალი.

წინასწარ გადახდილი ხარჯები აღიარებულია როგორც აქტივები და ამორტიზდება შესაბამისი პერიოდის განმავლობაში, რომლის დროსაც ხდება სერვისების გამოყენება. ამორტიზაცია იქნება აღიარებული, როგორც წინასწარ გადახდილი ხარჯების შემცირება და გაყიდვების ღირებულების ზრდა, რადგან ეს ეხება კომპანიის ძირითად ბიზნეს საქმიანობას.

წინასწარ გადახდილი ხარჯების საბალანსო ღირებულებები პერიოდულად განიხილება გაუფასურებაზე საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება შესაბამისად.

7 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო მოთხოვნები კერძო საწარმოების მიმართ	54,392	99,556
სავაჭრო მოთხოვნები საჯარო დაწესებულებების მიმართ	8,580	20,334
სავაჭრო მოთხოვნები დაკავშირებული მხარეებისაგან	7,385	6,605
მოთხოვნები პერსონალის მიმართ	155,081	-
სხვა მოთხოვნები	32,000	-
	<u>257,438</u>	<u>126,495</u>

ყველა მოთხოვნა მოკლევადიანია. სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება უტოლდება მის სამართლიან ღირებულებას. სავაჭრო მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. კომპანიის ყველა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები შესაძარის პერიოდებში გადახდილი იქნა გაუფასურებაზე და არადაბრუნებადი მოთხოვნები ჩამოიწერა 96,634 ლარით 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2022:40,207). იხილეთ შენიშვნა 13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ვალუტების მიხედვით იხილეთ შენიშვნა 19(ა)-ში.

8 ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე

ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
საბანკო ანგარიშები	107,032	280,314
საბანკო მოთხოვნამდე დეპოზიტები	5,136,542	3,208,302
	<u>5,243,574</u>	<u>3,488,616</u>

ფულადი სახსრებისა და მისი ექვივალენტების საკრედიტო ხარისხი, Fitch- ის საკრედიტო სააგენტოს თანახმად BB კატეგორიითაა შეფასებული და არც ვადაგადაცილება და არც გაუფასურება არ ფიქსირდება.

საბანკო დეპოზიტები წარმოადგენენ მოთხოვნად, მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც მარტივად კონვერტირებადია განსაზღვრულ ფულად ოდენობაზე და ატარებს ფასის ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები ვალუტების მიხედვით იხილეთ შენიშვნა 19(ა)-ში.

9 იჯარა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, საიჯარო ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
მიმდინარე	81,061	9,323
გრძელვადიანი	298,304	311,844
	<u>379,365</u>	<u>321,167</u>

კომპანიას აქვს იჯარით აღებული საოფისე სივრცე, რაც ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილია, როგორც აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულება. ცვლადი საიჯარო გადახდები, რომლებიც არ არის დამოკიდებული ინდექსზე, ან განაკვეთზე (როგორცაა კომპანიის გაყიდვების პროცენტზე დამოკიდებული საიჯარო გადახდები) არ ჩაერთვება საიჯარო ვალდებულებისა და აქტივის თავდაპირველი შეფასების განსაზღვრაში.

ქვემოთ მოცემული ცხრილი აღწერს კომპანიის საიჯარო აქტივობების ბუნებას, ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული აქტივების გამოყენების უფლების ტიპების მიხედვით:

აქტივის გამოყენების უფლება	იჯარით აღებული აქტივების რაოდენობა	დარჩენი- ლი ვადის დიაპაზონი	საშუალო დარჩენი- ლი იჯარს ვადა	იჯარების რაოდენო- ბა ვადის გაგრძე- ლების უფლებით	იჯარების რაოდენო- ბა შეძენის უფლებით	იჯარების რაოდენობა შეწყვეტის უფლებით
საოფისე ფართი	2	4 წელი	4 წელი	2	-	-

საიჯარო ვალდებულებები უზრუნველყოფილია შესაბამისი აქტივებით. მომავალი მინიმალური საიჯარო გადახდები 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრისთვის შემდეგნაირია:

ლარი	მინიმალური საიჯარო გადახდები	
	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
ერთი წლის შიგნით		
საიჯარო გადახდები	122,033	50,834
ფინანსური ხარჯები	(40,972)	(41,511)
	81,061	9,323
ორიდან ხუთ წლამდე		
საიჯარო გადახდები	354,236	398,305
ფინანსური ხარჯები	(55,932)	(86,461)
	298,304	311,844
წმინდა დღევანდელი ღირებულება	379,365	321,167

იჯარა რომელიც არ აღიარდება საიჯარო ვალდებულებად

კომპანიამ აირჩია არ აღიაროს საიჯარო ვალდებულება მოკლევადიანი იჯარისთვის (იჯარა მოსალოდნელი ვადით 12 თვე ან ნაკლები) ან დაბალი ღირებულების აქტივების იჯარისთვის. ასეთი იჯარით განხორციელებული გადახდები აღიარდება წრფივი მეთოდით ხარჯებაში.

ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია გადასახდელებთან, რომლებიც არ შედის საიჯარო ვალდებულების შეფასებაში, არის შემდეგი, ეს ხელშეკრულება დასრულდა 2022 წელს:

In Georgian lari	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
მოკლევადიანი იჯარა	-	107,758

10 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულებები	204,034	117,391
მფლობელ კომპანიაზე გადასახდელი თანხები	820,574	503,803
ხელფასები და სხვა თანამშრომლებისთვის გადასახდელი სარგებელი	-	35,759
	1,024,608	656,953

ვალდებულებებს პროცენტი არ ერიცხებათ. კომპანიას აქვს ფინანსური რისკების მართვის პოლიტიკა, რათა უზრუნველყოს, რომ ყველა ვალდებულება იყოს გადახდილი საკრედიტო პერიოდის ვადაში.

მფლობელი კომპანიისთვის გადასახდელი წარმოადგენს საერთო მოგებაზე დაფუძნებულ გადასახდელებს პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიისთვის, მენეჯმენტის სერვისებისთვის და ბრენდის ლიცენზიის საფასურებისთვის კომპანიის მფლობელის Emergo sport DOO-სთვის. საკომისიო გამოითვლება 16%, 2% და 2%

შესაბამისად მთლიანი მოგებიდან. ინფორმაცია კომპანიის უცხოური ვალუტის რისკების შესახებ იხილეთ შენიშვნა 18(ა)-ში.

11 შემოსავალი

ლარი	2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდი	2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდი
შემოსავალი კერძო კომპანიებიდან	20,238,368	13,650,595
შემოსავალი საჯარო დაწესებულებებიდან	5,261,203	2,008,023
	25,499,571	15,658,618

2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არსებული სახელშეკრულებო ვალდებულებების ბალანსში ჩართული 822,125 ლარი, 2023 წელს გვხვდება შემოსავლებში, ვინაიდან იგი მთლიანად დაკმაყოფილდა წინა პერიოდებში.

კომპანიის შემოსავლების აღიარების პოლიტიკა შემდეგნაირია:

ლარი	2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდი	2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდი
დროის პერიოდში მიწოდებული მომსახურებები	25,499,571	15,658,618
	25,499,571	15,658,618

იმის გამო, რომ მომხმარებელი ერთდროულად იღებს და მოიხმარს კომპანიის საქმიანობიდან წარმოქმნილ სარგებელს, იგი გადასცემს კონტროლს საქონელსა და მომსახურებაზე დროის განმავლობაში, ამასთან, აკმაყოფილებს შესასრულებელ ვალდებულებებს და შემოსავალსაც აღიარებს დროის განმავლობაში.

12 რეალიზაციის თვითღირებულება

ლარი	2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდი	2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდი
ფიტნეს კლუბის საშვის გამოყენების უფლების ღირებულება	13,749,305	8,081,681
	13,749,305	8,081,681

კომპანია მომხმარებელს აწვდის წევრთა შესასვლელ ელექტრონულ ბარათებს ფიქსირებულ ფასად. ამ საწევრო შესასვლელი ელექტრონული ბარათების მეშვეობით, მომხმარებელს აქვს წვდომა 200-მდე ფიტნეს კლუბთან. პროვადერებს აქვთ ვალდებულება აღრიცხონ და მოახსენონ კომპანიას ბარათის მფლობელ წევრთა მიერ გახარჯული დღეების რაოდენობის შესახებ.

კომპანია უხდის მოკავშირე ფიტნეს კლუბებს ანაზღაურებას ყოველი თვის ბოლოს, წევრების მიერ გახარჯული დღეების რაოდენობის მიხედვით.

13 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
პროგრამის ლიცენზიის ხარჯები	1,978,992	1,282,925
მენეჯერული სერვისები	235,005	159,515
ბრენდის ლიცენზიის გადასახადი	247,374	151,540
მარკეტინგული და სარეკლამო ხარჯები	301,660	81,806
საკონსულტაციო ხარჯები	217,868	201,498
ცვტა და ამორტიზაცია	119,807	23,059
სავაჭრო მოთხოვნების ჩამოწერა	96,847	40,207
სხვა და სხვა საოფისე ხარჯები	63,255	53,849
საგადასახადო ხარჯები	110,888	42,754
კომუნალური ხარჯები	42,158	34,420
საკომისიო ხარჯები	32,721	24,432
მივლინების ხარჯები	23,646	15,247
მიწოდების და ტრანსპორტირების ხარჯები	10,898	26,416
მოკლევადიანი იჯარის ხარჯები	-	116,233
პლასტიკური ბარათების ღირებულება	-	36,643
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	147,272	64,207
	3,628,391	2,354,751

მფლობელი კომპანიისთვის გადასახდელი წარმოადგენს საერთო მოგებაზე დაფუძნებულ გადასახდელებს პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიისთვის, მენეჯმენტის სერვისებისთვის და ბრენდის ლიცენზიის საფასურებისთვის კომპანიის მფლობელის Emergo sport DOO-სთვის. საკომისიო გამოითვლება 16%, 2% და 2% შესაბამისად მთლიანი მოგებიდან.

14 საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი

ლარი	2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდი	2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდი
საპროცენტო ხარჯები საიჯარო ხელშეკრულებებიდან	41,019	3,348
სულ ფინანსური ხარჯები	41,019	3,348
საპროცენტო შემოსავალი მოკლევადიანი საბანკო დეპოზიტებიდან	264,503	71,760
სულ საპროცენტო შემოსავალი	264,503	71,760
ნეტო საპროცენტო შემოსავალი	223,484	68,412

15 საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება

ლარი	2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდი	2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდი
მოგება (/ზარალი) საკურსო სხვაობიდან::		
ფულსა და ფულის ექვივალენტებზე	(40,453)	(37,839)
სავაჭრო მოთხოვნები	(51)	169
სავაჭრო ვალდებულებები	(77,435)	56,130
	(117,939)	18,460

16 მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები და დაშვებები

დაშვებები და მსჯელობები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას, ამასთან გაითვალისწინება სხვა ფაქტორებიც, როგორებიც არის მომავალი მოვლენების განვითარებასთან დაკავშირებული მოლოდინები, რომლებიც კონკრეტულ სიტუაციაში გონივრულად მიიჩნევა.

16.1 მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები

კომპანია შეფასებებს აკეთებს სამომავლო ფაქტორების გათვალისწინებით. მიღებული სააღრიცხვო შეფასებები, შესაძლოა განსხვავებული იყოს რეალურ შედეგისაგან. შეფასებები და დაშვებები, რომლებიც შეიცავს მნიშვნელოვან რისკს სამომავლოდ აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღერებულების კორექტირების საჭიროებისა, განხილულია ქვემოთ:

ზღვრული საპროცენტო განაკვეთის დაწესება ხელშეკრულებებისთვის, სადაც კომპანია წარმოადგენს მოიჯარეს

მენეჯმენტი იყენებს დაშვებებსა და მსჯელობებს ზღვრული საპროცენტო განაკვეთის დასადგენად. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით დგინდება საბაზისო განაკვეთი, რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი კონკრეტული ფაქტორებით და უზრუნველყოფის (იჯარის ობიექტი) მახასიათებლებით. კომპანიამ იყენებს ერთი და იმავე დისკონტის განაკვეთს იჯარის პორტფელზე, რომელსაც გააჩნია მეტ-ნაკლებად მსგავსი მახასიათებლები.

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლის აღიარება

ვინაიდან მომხმარებელი ერთდროულად იღებს და მოიხმარს კომპანიაში წარმოქმნილ სარგებელს, როცა კომპანია აწვდის მას მომსახურებას, კომპანია დროთა განმავლობაში გადასცემს კონტროლს საქონელზე ან მომსახურებაზე და, შესაბამისად, ასრულებს შესრულების ვალდებულებას და აღიარებს შემოსავალს დროთა განმავლობაში. ვინაიდან ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავალი აღიარებულია დროთა განმავლობაში, საანგარიშგებო პერიოდში აღიარებული შემოსავლის ოდენობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად დაკმაყოფილდა შესრულების ვალდებულება.

ტრანსფერ ფრაისინგი

საქართველოს სატრანსფერო ფასების კანონმდებლობა, ზოგადად, შეესაბამება ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიერ შემუშავებულ საერთაშორისო სატრანსფერო ფასების პრინციპებს. ეს კანონმდებლობა ნებადართულია დამატებითი საგადასახადო ვალდებულებების დაწესება კონტროლირებად ტრანზაქციებთან დაკავშირებით (დაკავშირებულ მხარეებთან და გარკვეული სახის არადაკავშირებულ მხარეებთან) თუ ეს ტრანზაქციები არ განხორციელდება ხელმისაწვდომობის პრინციპით. მენეჯმენტმა განახორციელა შიდა კონტროლი სატრანსფერო ფასების კანონმდებლობის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. კანონმდებლობა საგადასახადო ორგანოებს საშუალებას აძლევს შეცვალონ სატრანსფერო ფასი და დააწესონ დამატებითი საგადასახადო ვალდებულებები კონტროლირებად ტრანზაქციებთან დაკავშირებით (დაკავშირებულ მხარეებთან და გარკვეული სახის არადაკავშირებულ მხარეებთან), იმ პირობით, რომ ტრანზაქციის ფასი არ არის ტოლი.

კომპანიებს შორის გარიგებებიდან წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულებები დგინდება მათი ფაქტობრივი ტრანზაქციის ფასების მიხედვით. მსგავსი სატრანსფერო ფასების ეჭვქვეშ დაყენება შესაძლებელია სატრანსფერო ფასების წესების ინტერპრეტაციით. ასეთი მოვლენების ზემოქმედება არ შეიძლება საიმედოდ შეფასდეს, თუმცა ისინი შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე და/ან კომპანიის მთლიან ოპერაციებზე.

კომპანიამ ჩართო შპს BDO Georgia, რომელმაც დაეხმარა შეფასებინა SaaS Solution-ის სალიცენზიო მოსაკრებლის საბაზრო პირობებთან შესაბამისობის შეფასება. ამ მოსაკრებელს კომპანია უხდის Emergo Sport D.O.O-ს (მშობელი კომპანია), რომელიც მდებარეობს სერბეთში.

მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მათ განახორციელეს ადეკვატური შეფასება და დანერგეს ადეკვატური შიდა კონტროლი საქართველოში მოქმედი სატრანსფერო ფასების კანონმდებლობის შესაბამისობაში მოსაყვანად.

16.2 ძირითადი დაშვებები მომავალთან დაკავშირებით

ფუნქციონირებადობის შეფასებები

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის მენეჯმენტი აფასებს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარს და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებას, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანია ფუნქციონირებად საწარმოს წარმოადგენს და ამ მხრივ მნიშვნელოვანი გაურკვევლობები არ არსებობს, შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპით.

17 ფინანსური ინსტრუმენტები

17.1 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის დეტალები და განხორციელების მეთოდები, მათ შორის აღიარების კრიტერიუმები და ბაზისი, რომლის საფუძველზეც ხდება შემოსავლის თუ ხარჯის აღიარება, ფინანსური აქტივის და ვალდებულების კლასების შესაბამისად, წარმოდგენილია შენიშვნა 3.6-ში.

17.2 ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები

ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია შემდეგი კატეგორიის აქტივები და ვალდებულებები საბალანსო ღირებულებით:

ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	257,438	126,495
ფული და ფულის ექვივალენტები	5,243,574	3,488,616
სულ ფინანსური აქტივები	5,501,012	3,615,111
ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,024,608	656,953
საიჯარო ვალდებულება	379,365	321,167
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,403,973	978,120
წმინდა პოზიცია	4,097,039	2,636,991

18 ფინანსური რისკის მართვა

კომპანია ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებულ სხვადასხვა რისკებს ექვემდებარება. ძირითადი რისკების ტიპებია საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკი. კომპანია არ არის ჩართული ფინანსური აქტივებით ვაჭრობაში და არ უშვებს ოფციონებს. ძირითადი ფინანსური რისკები, რომლებიც კომპანიასთან არის დაკავშირებული აღწერილია ქვემოთ.

ა) საბაზრო რისკი

კომპანია არ არის დაცული საბაზრო რისკისაგან ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების გამო და კონკრეტულად სავალუტო, საპროცენტო განაკვეთისა და სხვა ფასთან დაკავშირებული რისკისაგან, რომელიც გამოწვეულია, როგორც საოპერაციო აგრეთვე, საინვესტიციო საქმიანობიდან.

უცხოური ვალუტის რისკი

კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს. აქედან გამომდინარე, წარმოიშობა სავალუტო კურსის მერყეობასთან დაკავშირებული რისკი. კომპანიის ტრანზაქციების უმეტესი ნაწილი ქართულ ლარში ხორციელდება. ვალუტის გაცვლითი კურსის ზემოქმედება წარმოქმნილია სალიცენზიო გადასახდელებიდან, რომლებიც თავდაპირველად დენომინირებული იყო აშშ დოლარში და

ევროში. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც იწვევს კომპანიის სავალუტო რისკს განხილულია ქვემოთ. ნაჩვენები თანხები, არის ის თანხები რომლებიც წარედგინება ხელმძღვანელობას და გადაყვანილია ლარში წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით:

ერთეული		
2023 წლის 31 დეკემბერი	ა.შ.შ დოლარი	ევრო
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	20,498	-
	20,498	-
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	30,674	799,377
	30,674	799,377
წმინდა პოზიცია	(10,176)	(799,377)

ერთეული		
2022 წლის 31 დეკემბერი	ა.შ.შ დოლარი	ევრო
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	-	14
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10,833	-
	10,833	14
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	833	495,934
	833	495,934
წმინდა პოზიცია	10,000	(495,920)

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს დოლარის მიმართ ლარის 15%-იანი (2022: 15%) მატების გავლენას კომპანიაზე. აღნიშნული 15% (2022: 15%) არის მმართველობის მიერ შეფასებული სავარაუდო ცვლილება ლარისა და დოლარის გაცვლით კურსებში. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ დომინანტ ვალუტას და წლის ბოლოს აკორექტირებს მათ 15%-იანი (2022: 15%) განაკვეთით. ქართული ლარი რომ გამყარებულიყო დოლართან მიმართებაში 15%-ით (2022: 15%), მაშინ ამას ექნებოდა შემდეგნაირი გავლენა:

ლარი	ა.შ.შ. დოლარის გავლენა	
	2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდი	2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდი
მოგება/(ზარალი)	1,526	(1,500)

ქართული ლარი რომ გამყარებულიყო ევროს მიმართებაში 15%-ით (2022: 15%), მაშინ ამას ექნებოდა შემდეგნაირი გავლენა:

ლარი	ევროს გავლენა	
	2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდი	2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდი
მოგება	119,907	74,388

ზემოთ მოყვანილი ანალიზი მიჩნეულია კომპანიის სავალუტო რისკის ზემოქმედების წარმომადგენლად და ვარაუდობს, რომ ყველა სხვა ცვლადი, როგორიცაა საპროცენტო განაკვეთები, უცვლელია.

ბ) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას, რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც კომპანია მიიღებს ფინანსურ ზარალს. კომპანია განიცდის საკრედიტო რისკს ფინანსური აქტივებიდან, როგორებიცაა ფული და ფულის ეკვივალენტები ბანკებში, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. საკრედიტო რისკის მართვა ხდება ჯგუფის მიერ, თავისი საკრედიტო რისკების

მართვის პოლიტიკისა და პროცედურების საფუძველზე. ფულადი ნაშთებისა და საბანკო დეპოზიტების მიმართ საკრედიტო რისკის მართვა, ხდება საბანკო დეპოზიტების დივერსიფიკაციით და მხოლოდ კარგ, რეპუტაციულ ფინანსურ ინსტიტუტებთან არის დაკავშირებული. კომპანია მუდმივად აკონტროლებს მომხმარებლების საკრედიტო ხარისხს. კომპანიის პოლიტიკაა მხოლოდ კრედიტუნარიან კონტრაგენტებთან ურთიერთობა. საკრედიტო პირობები მერყეობს 3-დან 7 დღემდე. მიმდინარე საკრედიტო რისკის მართვა ხდება ვადიანობის/დაძველების ანალიზისა და საკრედიტო ლიმიტების რეგულარული მიმოხილვით, თითოეული მომხმარებლის დონეზე. მომსახურების მომხმარებლები ვალდებული არიან გადაიხადონ მომსახურების ყოველთვიური ოდენობა წინასწარ, რაც ამცირებს საკრედიტო რისკს.

სავაჭრო მოთხოვნები შედგება დიდი რაოდენობის მომხმარებლებისგან, სხვადასხვა ინდუსტრიებიდან. კომპანია არ ფლობს რაიმე ტიპის უზრუნველყოფას სავაჭრო მოთხოვნებზე. გარდა ამისა, კომპანია არ ფლობს გირაოს არც სხვა ფინანსურ აქტივებზე.

სავაჭრო მოთხოვნები

კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მოდელს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ასადიარებლად ყველა სავაჭრო მოთხოვნისთვის, რადგან აღნიშნული მუხლები არ შეიცავს მნიშვნელოვანი დაფინანსების კომპონენტს. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას, სავაჭრო მოთხოვნები ფასდება კოლექტიურად, რადგან მათ გააჩნიათ საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლები. მოთხოვნები დაჯგუფებულია გადავადებული დღეების მიხედვით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთი, ასევე შესაბამისი განცდილი საკრედიტო ზარალი მოცემულ პერიოდში, დამოკიდებულია გაყიდვების საგადახდო პროფილზე ბოლო 24 თვის მანძილზე. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთი დამოკიდებულია გაყიდვების საგადახდო პროფილზე ბოლო 12 თვით მანძილზე 2023 წლის 31 დეკემბრამდე და 2023 წლის 1 იანვრამდე, შესაბამისად, ასევე შესაბამისი განცდილი საკრედიტო ზარალი მოცემულ პერიოდში. ისტორიული განაკვეთები კორექტირებულია, რათა აისახოს მიმდინარე და სამომავლო მაკროეკონომიკური ფაქტორები, რომლებსაც გავლენა აქვთ მომხმარებლების შესაძლებლობაზე დაფარონ დარჩენილი რაოდენობა.

კომპანიამ დაადგინა, რომ ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) და უმუშევრობის მაჩვენებელი, ყველაზე შესაფერი ფაქტორებია და შესაბამისად, აკორექტირებს ისტორიული ზარალის მაჩვენებლებს ამ ფაქტორებში მოსალოდნელი ცვლილებებით. მიუხედავად ამისა, საკრედიტო რისკისთვის მოცემული მოკლევადიანი პერიოდის გამო, ამ მაკროეკონომიკური ფაქტორების გავლენა სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში არ იყო მიჩნეული მნიშვნელოვნად. სავაჭრო მოთხოვნები ჩამოიწერება (აღარება წყდება), როდესაც არ არის გონივრული მოლოდინი მოთხოვნების აღდგენის. ინვოისის გამოწერის დღიდან 180 დღის განმავლობაში გადახდების შეუსრულებლობა და სხვა ალტერნატიულ გარიგებაში მონაწილეობის ვერ მიღება, სხვა მიზეზებთან ერთად, ქმნის გონივრულ მოლოდინს, რომ მისაღებ ანაზღაურებას კომპანია სავარაუდოდ ვერ მიიღებს.

ბ) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დროულად დაფაროს ვადადამდგარი ვალდებულებები. კომპანია ახორციელებს ფრთხილ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალ ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა მან დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასეხო ვალდებულება. შემდეგი ცხრილი დეტალურად ასახავს არადერივატული ფინანსური ვალდებულებების გადახდის პერიოდს. ცხრილი შედგენილ იქნა ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადებით, დაფუძნებული უახლოეს თარიღზე, როდესაც შეიძლება კომპანიის მიმართ მოთხოვნილ იქნას აღნიშნული ვალდებულების გასტუმრება. ცხრილი შეიცავს ფულად ნაკადების, როგორც ძირს, ასევე პროცენტს.

2023	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ფინანსური იჯარის ვალდებულებები	სულ
საშუალო შეწონილი ეფექტური განაკვეთი (%)		12.73%	
3 თვემდე	1,024,608	30,508	1,055,116
1-3 თვე	-	30,508	30,508
6 თვიდან 1 წლამდე	-	61,017	61,017
1-5 წლამდე	-	354,237	354,237
	1,024,608	476,270	1,500,878

2022	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ფინანსური იჯარის ვალდებულებები	სულ
საშუალო შეწონილი ეფექტური განაკვეთი (%)		13.6%	
6 თვეზე ნაკლები	656,953	10,542	667,495
6 თვიდან 1 წლამდე	-	40,291	40,291
1-5 წლამდე	-	398,305	398,305
	656,953	449,138	1,106,091

კომპანია განიხილავს ფინანსური აქტივებიდან ფულადი სახსრების ნაკადს ლიკვიდურობის რისკის შეფასებისას, განსაკუთრებით მის ფულად სახსრებს და სავაჭრო მოთხოვნებს. კომპანიის ფულადი სახსრები და სავაჭრო მოთხოვნები მნიშვნელოვნად აჭარბებს მიმდინარე ფულადი სახსრების გასვლების შესახებ მოთხოვნებს. მთლიანი ფულადი ნაკადების მიღების პერიოდი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისგან, ხელშეკრულების მიხედვით, წარმოადგენს 3 დან 7 დღემდე.

19 სამართლიანი ღირებულებით შეფასება

კომპანია გვთავაზობს იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზს, რომლებიც თავდაპირველი აღიარების შემდგომ შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით და აჯგუფებს მათ 3 დონეზე. თითოეული დონე განხილულია ქვემოთ:

- დონე 1 –სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის ამოსავალი მონაცემები არის იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიური ბაზრების კოტირებული ფასები (გაუკორექტირებელი), რომლის მოპოვება საწარმოს შეუძლია შეფასების თარიღისთვის.
- დონე 2- სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის ამოსავალი მონაცემები არის მოცემული აქტივის ან ვალდებულების შესახებ 1-ელ დონეზე მიკუთვნებული ყველა მონაცემი, გარდა კოტირებული ფასებისა, რომლებიც ემპირიულია პირდაპირ ან არაპირდაპირ.
- დონე 3- სამართლიანი ღირებულების შეფასება დამოკიდებულია შეფასების ტექნიკებზე, რომელიც იყენებენ ისეთ მონაცემებს, რომლებიც არ ეფუძნება ბაზარზე ღიად დაკვირვებად მონაცემებს (არადაკვირვებადი მონაცემები)

კომპანიას არ გააჩნია ფინანსური აქტივები ან ვალდებულებები, რომლებსაც აღრიცხავს რეალური ღირებულებით.

20 კაპიტალის რისკის მართვა

კომპანია ისე მართავს კაპიტალს, რომ შეძლოს უწყვეტად ფუნქციონირების გაგრძელება და დამფუძნებლებსაც ადექვატური უკუგება აჩვენოს. კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა შედგება მშობელი საწარმოს კუთვნილი კაპიტალისაგან, რომელიც მოიცავს კომპანიის საწესდებო კაპიტალსა და აკუმულირებულ მოგებას. მენეჯმენტი მუდმივად აფასებს კომპანიის კაპიტალის მოთხოვნას, რათა შეინარჩუნოს დაფინანსების ეფექტური საერთო სტრუქტურა და ამავე დროს თავიდან აიცილოს ზედმეტი დამოკიდებულება ნასესხებ სახსრებზე (ზედმეტი/გადაჭარბებული ლევერიჯი). ამ ანალიზისას გაითვალისწინება კომპანიის სხვადასხვა კლასის სესხების სუბორდინაციის დონეები. კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს ამ სტრუქტურის ცვლილებებს იმ ეკონომიკური პირობებისა და რისკის მახასიათებლების ცვლილებების გათვალისწინებით, რომლებიც ახასიათებს კაპიტალის მაფორმირებელ აქტივებს.

კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან ცვლილების მიზნით კომპანიამ შეიძლება შეცვალოს გასანაწილებელი დივიდენდების ოდენობა, ან გაყიდოს აქტივები ვალდებულების შესამცირებლად.

21 ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებები

კომპანიის ვალდებულებებში ცვლილება ფინანსური აქტივობებიდან კლასიფიცირდება შემდეგნაირად:

ლარი	საიჯარო ვალდებულებები	სულ
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	398,526	398,526
არაფულადი		
შეწყვეტა	(398,525)	(398,525)
საწყისი აღიარება	317,818	317,818
დარიცხული პროცენტი	3,348	3,348
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	321,167	321,167
ფულადი		
გადახდა	(42,360)	(42,360)
არაფულადი		
პირველადი აღიარება	59,539	59,539
დარიცხული პროცენტი	41,019	41,019
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	379,365	379,365

22 დაკავშირებული მხარეები

კომპანიის დაკავშირებული მხარეები მოიცავს მშობელ საწარმოს, საწარმოებს საერთო კონტროლის ქვეშ და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობას.

22.1 მაკონტროლებელი ურთიერთობები

კომპანიას აკონტროლებს Emergo Sport D.O.O. რომელიც ფლობს კომპანიის წმინდა აქტივების 100%-ს. კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა Société coopérative de production à forme anonyme and capital variable „UP“ ID #642044366 R.C.S Nanterre (საფრანგეთი).

22.2 დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები

საანგარიშო წლის განმავლობაში კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები და საბალანსო ნაშთები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

ლარი ოპერაციები	2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდი	2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდი
მფლობელები		
პროგრამული მომსახურება	1,978,992	1,593,980
მენეჯერული მომსახურება	235,005	
თიმილიდინგის ხარჯი	63,289	
ბრენდის ლიცენზიის ხარჯი	247,374	
ხელმძღვანელობა		
ხელფასები და ბონუსები	1,051,756	731,829
საბალანსო ნაშთები		
მფლობელები		
სავაჭრო ვალდებულებები	820,574	496,295

23 შემდგომი მოვლენები

2023 წლის 31 დეკემბრისა და ავტორიზაციის თარიღს შორის მაკორექტირებელი ან მნიშვნელოვანი არამაკორექტირებელი მოვლენა არ მომხდარა.